ლეონიდ-ლუკა კაზანჯი

ეძღვნება ღირსეულ ლაზებს

ბატონ ნერსე და წათე

ბ ა ც ა შ ე ბ ს

დ ი ლ მ უ ნ ი

2020 წელი

ლაზთა გენეზისის ოკულტური ანალიზი

მსოფლიო ისტორია ილომენურ პროცესთა ამფონერსულ სიბრტყეში განხილვადი დეონტური იდეების აპოფატიკური სამყაროა, რომელიც ვითარდება სულიერი საწყისების ნომოთეტურად ხორცშესხმის გზით. მსოფლიო ხალხები წარმოადგენდნენ მძლავრ ეთნოკულტურულ კავშირებს, რომლებიც იბრძოდნენ უძლიერესი იდეური, ასე ვთქვათ, კულტუროტროფული ექსპანსიის განსახორციელებლად. ისტორიის ფილოსოფია აერთიანებს თეოსოფიურ საწყისებს, იდიოგრადიულ ელემენტებს და ლოგიკურ საზრისებს. ისტორია ჰგავს მუხას, რომლის ფესვთა ძიებას უძველეს საკრალურ ცივილიზაციებთან მივყავართ. მსოფლიო ისტორია ვითარდება დროსა და სივრცეში, რაც ტრივიალური ჭეშმარიტებაა. სამყარო ისტორიოსოფიურ კანონზომიერებებს ემორჩილება. ეთნოსის წარმოშობა ურთულესი პროცესია, რომლის მიმდინარეობისას ძველი ტრადიცია შობს ახალს, ხოლო ახალი ძველის განვითარების საფუძველი ხდება.

ისტორიოსოფია გახლავთ მოძღვრება ისტორიული სოფიზმის შესახებ, რაც წარმოადგენს ყოველი მოვლენის ერთიან სიბრტყეში განხილვის თეოსტრატიულ საფუძველს. ერის განვითარება ეთნოგენურ საწყისებს ეფუძნება. ბუნებრივია, ყოველი ეთნოსი წარმოადგენს კულტუროტროფულ ნიადაგზე აღმოცენებულ მონოეთნოგენურად განვითარებად პოლივალენტურ კავშირს.

იპოვე მონოსტრატიის საწყისი და შენ პოლივალენტური იდეალების პანეროვნული სამყაროს ალტრუისტულ კარიბჭეს მიადგები. იდეალი - აზრის წვდომაა, იდეა- ასახვა, ხოლო ფიქრი - წყარო. ამ სიბრძნისმიერ ფორმულირებაში აშკარად იკვეთება უძველეს კულტურათა შემოქმედებითი მუხტი ანუ ძალა, რომელიც ავითარებდა მსოფლიოს დიადი ატლანტიდიდან - თანამედროვე ეპოქის კულტურებამდე.

ლაზები უძველესი ხალხია, რომლებიც სხვადასხვა ეპოქაში იწოდებოდნენ ფუტიელებად, სუბეშლაილებად, აბეშლაილებად, ტაოხებად, მენგურიელებად, ლესტრიგონებად და ა. შ. ლაზთა წარმოშობა ჩემი სუბიექტური შეხედულებით უკავშირდება პელაზგურ და ეტრუსკულ კულტურათა შექმნას.

თეოგნიდეს და ჰესიოდეს მიხედვით პირველი ადამიანი ანუ ადამი იყო „პელაზგოსი“ - ანუ „პელაზგონი“ - პე შემდგომ გავრცელებული ინდოევროპული თავსართია, ლაზგონი - ანუ ლაზური გონი, დააკვირდით ტერმინს „პელაზგოსი“ – „ს“ -ეზოთერულად ნიშნავს დროებით შეჩერებას სიბრძნისმიერი ნაკადისა, ხოლო „ნ“ - გამოხატავს აზრობრივი მდინარების გააქტიურებას, ანუ პროცესებს, რომელიც დაიწყო ატლანტიდის დაცემიდან და რაც დასრულდა ზეატლანტური - ლაზური ცივილიზაციის გაჩენით. სიტყვა „ლაზი“ - ნიშნავს - „ლიაზანი“ - ანუ „ლ“ - გახლავთ უფლისმიერი საწყისი, „ი“ - გახლავთ განვითარება, „ა“ - ამაღლება, „ზ“ - აზრობრივი ნაკადების ვერტიკალური ალომანასტრატიული შერწყმა, „ა“ -ახალ სულიერ - სხეულებრივ საფეხურზე ამაღლება, „ნ“ - სიბრძნისმიერ ნაკადთა

აზრობრივ აბსოლუტად შეკვრა, „ი“- ეპოქალური ცვლილებების გზით სამყაროს განვითარების პროცესის ახალ ფაზაში გადასვლა.

თანამედროვე მარგალონაში გავრცელებულია სიტყვა „პელაგონი“ - რაც ნიშნავს სწრაფ მდინარეს და მართლაც „პელაგონი“ ანუ ლაზური გონის დახმარებით დაიწყო საკაცობრიო აზრობრივმა რემინისცენციამ სწრაფი დინება და ამ გზით მოხდა კაცობრიობის გონისმიერი პოტენციალის ამაღლება და განვითარება.

ლაზი ასევე აღნიშნავს „ღვთისთვის მებრძოლს“, „ღვთის მსახურს“ და კავკასიურ პელაზგონურ სიბრძნისმიერ სისპეტაკეს. ლაზური კულტურა გახლდათ პარიმორდიალისტური სათავე მსოფლიო ცივილიზაციისა. მაგ. სიტყვა „კოლხი“ იშიფრება ამგვარად: „ქაქ ხუ“ - ანუ „ლაზმა დაამთავრა“ - მართლაც, ატლანტიდის კანონზომიერი დაცემის შემდგომ სწორედ ლაზმა ხალხმა გაანათა მსოფლიო წყვდიადი ყოვლისმომცველი ცოდნის სხივით, ვინაიდან და რადგანაც, ატლანტები - ლაზთა წინაპრები ღვთის რჩეული ხალხი საკუთარ მესიანისტურ ფუნქციონალურ მისიას გადაულოცავს მისსავე გენეტიკურ მემკვიდრე - ლაზურ-მისტიკურ მონოეთნოგენურ საზოგადოებას.

ატლანტიდა ლაზური ქვეყანაა, რომელიც გახლდათ აზრობრივი კონტენპლაციური ხიდი ამქვეყნიურ და მიღმიერ სამყაროთა შორის. ატლანტიდა - ლაზთა ქვეყანა არ გამქრალა. მან ასახვა ჰპოვა ლაზურ აკვატორულ კულტურაში.

დღემდე უდიდეს სიდუმლოებათა სამარედ ითვლება შავი ზღვა, რომელიც ჩემი აზრით ატლანტიდის სამარხია. იმ ატლატიდისა, რომელიც კანონზომიერი კოსმიური ციკლის განვლის შემდგომ წყლის სტიქიურმა ადესტრანტმა (აბსოლუტმა) შთანთქა, მაგრამ არა მთლიანად, გადარჩა ნაწილი, კერძოდ, კავკასია და მცირე აზია, რომლის ატლანტურმა მოსახლეობამ იკისრა კარგად დავიწყებული ძველი მისია - მედიტერიანული ანუ ახალი ატლანტოიდური რასობრივი კულტურის უძველეს ტიტანურ საიდუმლო სიბრძნის მიხედვით ალტრუისტულად განვითარების პროცესის განსრულებისა, რაც განხორციელდა კიდეც. ამ ფაქტს ადასტურებს კოლხას კულტურა. კოლხა გახლდათ გადარჩენილი ატლანტთა მიერ შექმნილი სოციალურ-პოლიტიკურ-კულტუროგენური ცივილიზაცია, რომელიც იცავდა და იცავს კაცობრიობას ბარბაროსული - ე.წ. ნომადური ცნობიერი სამყაროს უმძლავრესი შემოტევებისგან. ლაზმა აიეტმა, როგორც უძველესი ატლანტიდის ერთ-ერთმა უმთავრესმა უფლისნებით გადარჩენილმა პატრიარქმა, შექმნა აზრობრივი იმპერია, რომელიც ასულდგმულებდა მაშინდელ ცივილიზებულ კაცობრიობას.

აიეტი - „აიეთი“ ანუ ის ვინც ცოცხლობს აიათი, ხოლო აია საზრდოობს მისი ღვთიური სიბრძნით. აიეტი ლაზი მონარქი და უძველეს ატლანტ პატრიარქთა ოკულტური კოლეგიის დიადი წარმომადგენელი გარდაიქმნა ახალი მსოფლიო ისტორიულ-გენეტიკური მართლწესრიგის გენიალურ დემიურგად. ატლანტიდამ შექმნა სიბრძნისმიერი სივრცე სამყაროში, რომელიც ღვთისმიერ დაშვებული კანონზომიერი კოსმიური კატასტროფის შემდეგ რწმენაში განმტკიცების გზით გააღვიძა აიეტიდურმა კოლხამ. აიეტმა უძველეს ატლანტურ-ტიტანური რელიგია კოლხური კულტურის „ალმამატერად“ აღიქვა, ხოლო კოლხა იქცა ატლანტური აზრობრივი სივრცის ღვთისგან დაცულ ნაწილად, რომელმაც

სათავე დაუდო ძველთა შესწავლის გზით ახალ აზრთა ქურაში შემოქმედებითად წვის გასაოცარ აზრობრივ ეპოპეას.

აიეტი იყო პირველი, რომელმაც ატლანტთა ცივილიზაციის კანონზომიერი დაღუპვის შემდგომ გაილაშქრა მაშინდელ მსოფლიოში წყვდიადისეულ ბოროტების - მატერიალიზმის წინააღმდეგ. აიეტმა სათავე დაუდო კაცობრიობის ისტორიის ღრმად გარდაქმნილ ატლანტოიდური რწმენის ახალ კავკასიურ განშტოებას - კერძოდ, ალტრუისტულ სიბრძნეს, რომელიც კოლხური ცოდნის მანათობელი სხივის სახით შეიჭრა და გაანათა ბარბაროსული ბნელი აზრობრივი ლაბირინთები. ლაზმა ხალხმა აიეტის მეთაურობით, რომელიც გახლდათ მზის ღმერთ ჰელიოსის ვაჟი, იმ ჰელიოსისა, რომელმაც ატლანტიდა, ლემურია და პატიფიდა შექმნა და შემდგომ მათი განადგურებისა მფარველობა გაუწია ვაჟს - ახალი ცივილიზაციის შესაქმნელად.

როგორ იშიფრება სიტყვა „ჰელიოსი“ – „ჰ“ - გახლავთ ღვთიური სამმაგი ღვთიური სიბრძნისმიერი უსასრულობის ნიშანი, „ე“ - გახლავთ აზრობრივი ტკბობის სიმბოლო, „ლ“ - წარმოადგენს უფლისმიერ საწყისს, „ი“ - გახლავთ სიბრძნისმიერი რეინკარნაციის ტერიტორიული განსრულების სიმბოლო, „ო“ - გახლავთ სიბრძნისა და რწმენის გაერთიანების სიმბოლო, „ს“ - სიბრძნისმიერი ნაკადის აქტივობის შემცირების ნიშანი, ხოლო „ი“ - აღნიშნავს აზრობრივ მდინარებათა გააქტიურების გზით ახალ აზრობრივ კოსმოცენტრულ გალაქტიკათა წარმოშობის პროცესის განსრულებას.

აიეტმა კოლხა აქცია მატერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ერთგვარ რაინდულ ორდენად, რომლის ყოველ წევრს გაცნობიერებული ჰქონდა საკუთარი და მისი თანამოძმეების ზოგადსაკაცობრიო მისია. აიეტი იქცა დიად მეფე ქურუმად, რომელმაც ბიზანტიის იმპერიის შექმნამდე ათასწლეულებით ადრე სასულიერო და საერო ხელისუფლების ჰარმონიული თანაარსებობის კონცეფციის შექმნის გზით დასაბამი დაუდო მსოფლიო მმართველობის ნამდვილი დემოკრატიზების მრავალსაუკუნოვან პროცესს.

აიეტის ლაზური სამეფო პირდაპირ ტელეპატიურ კონტაქტში იმყოფებოდა წინაპარ ატლანტ ქურუმთა და პატრიარქთა სულებთან, რასაც ცხადყოფს ლაზების განსაკუთრებული სიყვარული აკვატორიისადმი, ჩემი აზრით იმ სივრცისადმი, სადაც ატლანტიდა განისვენებს და რომელიც აიეტმა კოლხას სახით აღადგინა. ლაზმა ქურუმებმა აიეტის იდეოლოგიის ზეგავლენით შექმნეს შუმერული - „შუამარო“ – „უფალი ცა გიცავს“, ეგვიპტური („ეგიპტე“ - დავტოვე) და ბაბილონური - „ბაბსტალდინი - ბაბარახაში“ – „დიდება ღმერთს“. შესაბამისად ლაზები კი არ არიან შუმერები, ბაბილონელები ან ეგვიპტელები, არამედ სწორედ ისინი არიან ლაზური გენეტიკის. ლაზურმა მისტიკამ მსოფლიო მატერიალიზმთან მებრძოლ ხალხთა მიერ დასახლებულ თეოსოფიურ არეალად გარდაქმნა. ლაზებმა შექმნეს შუმერული პანთეონი, მაგ „ერეშქიგალი“ – „არეშე ულირიქ ქოგალუ“ - ანუ სიკეთეს არედან წასული გიტევს“ - მოგეხსენებათ, ერეშქიგალი შუმერთა ქვესკნელის ქალღვთაება გახლდათ. ეგვიპტური მითოსით ლაზურ-მისტიკურ სიბრძნის პროდუქტია მაგალითად მათი ღმერთი ხორული -ლაზურად იშიფრება, როგორც „ახალი ური“ – „ხოარურ“ - რაც ნიშნავს ახალი ეზოთერული ველის წარმოშობას.

ბაბილონელთა მთავარი ღმერთი შაბალუ კოლხურად ნიშნავს „შაქო ქოგალუ“ – „შა“ გახლავთ სულიერი საწყისი. ლაზებმა ჩამოაყალიბეს სამმაგი აზრობრივი უსასრულობის კონცეფცია, რომლის თანახმად აზრი გადის 3 საფეხურს: ცოდნის ეტაპს, სიბრძნის ფაზას და საბოლოოდ რწმენის ეზოთერულ განსაწმენდელში მოხვედრის შემდგომ აღწევს ედემამდე. აღნიშნული კონცეფცია შეიქმნა აიეტიდურ კოლხაში, რომლის ძირითად ღერძს წარმოადგენდნენ მეგრელების („მარგალი“ – „მარექ ქოგალუ“ - ანუ „ცა შემოგევლოს“), სვანები („შონი“ -სვანი - „სოურეთ მორთუ ანიქ“ - საიდანაც მოვიდა აზრობრივი ცა), ლაზები („ღვთიური სიბრძნის ორდენის მეომრები).

თავისუფლად შეიძლება ითქვას, ლაზებმა სათავე დაუდეს გასაოცარ მისტიკურ ფენომენოლოგიას, რომელმაც განავითარა საკაცობრიო გონი და დასაბამი მისცა ალტრუისტულ აზროვნებაში გადაზრდილ კოსმოგენიურ დეციზიონიზმს.

ლაზური მისტიკა ცხადყოფს ლაზთა წარმოშობის საიდუმლოებებს. ლაზები გახდნენ ხალხი, რომლებიც წარმოადგენდნენ ატლანტოიდურ-ტიტანურ რასას. ისინი წარმოიშვნენ უფლის ძალით და განგებით - ძველ ატლანტიდაში და მისი დაღუპვის შემდგომ განაგრძეს ატლანტ წინაპართა ტრანსცენდენტური მისიის აღსასრულებლად თავდაუზოგავი ბრძოლა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას! ლაზურ ეზოთერიკაში გამოიყოფა 3 სკოლა - დასავლურ-ლაზური, სამხრეთ-ლაზური და აღმოსავლეთ-ლაზური. I ქმნის აზრს, II - ავითარებს, III კი მისტიკურ კონცეფციად გარდაქმნის. ლაზურმა მისტიკამ აიეტის შემდგომ ყველაზე დიდი სიმაღლეს მიაღწია. ძვ. წ. III-II ათასწლეულებში, რასაც ცხადყოფს კოლხური ლიტერატურის ძეგლი - „გილგამეშიანი“. გილგამეში (ქოგალუ შამაშიქ“). კოლხი მეფეების შუმერში გაბატონებული ანოისური დინასტიის წარმომადგენელია, რომელიც ეძებს უკვდავებას თანამებრძოლ ენქიდუსთან ერთად. ენქიდუს სულიერ-ეთერული სხეული ნახევრად ცხოველური და ნახევრად ადამიანურია. ამიტომაც ამყარებს იგი კონტაქტს შუმერ ქალ შამხათთან, შესაბამისად სწავლობს და იძენს ადამიანურ ჩვეულებებს და კლავს მასში მხეცს, ეს ფაქტი აღნიშნავს კოლხი (ლაზი) ხალხის მიერ ბარბაროსობის წინააღმდეგ წარმატებულ იდეურ გალაშქრებას. გილგამეში ეძიებს „უთნაფიშტიმს“ – „კოლხ ქურუმს“, რომელსაც იპოვის და სთხოვს უკვდავების საიდუმლოს გაზიარებას, რასაც ნაწილობრივ აღწევს კიდეც, კერძოდ, ე.წ. მცენარე უკვდავების წამალი, რომელსაც გილგამეშს აძლევს უთნაფიშტიმი გახლავთ უძველესი ატლანტური ტრანსცენდენტური სიბრძნე, რომელსაც იგი კარგავს მძლავრი მატერიალისტური აზრობრივი შეტევის მოგერიებისას განცდილი მარცხის გამო. სასოწარკვეთილი გილგამეში ხვდება საკუთარ მარცხს და იდილიურ ნავთსაყუდარს ჰპოვებს მშობელი ხალხის უკეთილშობილეს გულსა და გონებაში. გილგამეში მარცხდება გონებით, მაგრამ იმარჯვებს გულის კართა გაღებით.

პირადად ჩემი აზრით, ლაზი ხალხი გახლავთ ფუტიელთაგან წარმომდგარი ლუსის ლეგენდარული ტომი, რომელმაც შვა მაკრონი ხალხი. ჰომეროსი აღნიშნავს: სავსებით შესაძლებელია ელადის კარიბჭეს მოადგეს მაკრონთა პელაზგური ლაშქარი. „მაქ-რო-ნი“ - ანუ ღვთიური მზის ხალხი“ - ტომი რომელიც შვა ლაზონამ. ლაზი ხალხი გახლავთ ეთნოსი, რომელმაც მზე, როგორც ონტოლოგიური ფენომენი (გავიხსენოთ, მას პრაქტიკული ყოფითი მნიშვნელობაც აქვს, კერძოდ გვათბობს, გვინათებს და ა. შ.) და მთვარე, როგორც

აქსიოლოგიური მოვლენა (მთვარე პატრიარქატული სიმბოლოა, იგი განსაზღვრავს მამაკაცურ იდეურ სიქველესა და ღირებულებით განზომილებებს) ერთიან აზრობრივ სიბრტყეში მოაქცია.

ლაზმა ქურუმებმა მზის კალენდარი და მთვარის ფაზები ერთიან ასტროსტატიულ განზომით სიდიდეებად წარმოაჩინეს, რასაც შედეგად მოჰყვა ძველ ეგვიპტეში იერატიკული და დემოტური, ინდოეთში დევანაგარის („დევეფიშ ნაგარი“ - ატლანტ ტიტანთა გოდების), იაპონიაში ჰირაგანის და კატაგანის (აინური ანბანები), კორეაში ჰანგილის (ჩონგსანის იბერიული სახელმწიფოს ანბანი) შექმნა.

ლაზი ხალხი წარმოშვა ატლანტიდამ, თოგარმა მეშეხის ხალხი - ლაზური რასის კონცეპტუალური ცენტრით. ლაზი ხალხი წარმოადგენს ატლანტ ტომთა ალოგლეტეგენიურ ალიანსს. ალოგლეტეგენია გახლავთ სულიერ-გენეტიკური ალეგორიების მიხედვით პროგრესირებადი კოსმოცენტრული ალტრუიზმი, რომელიც გვაახლოებს ქრონოს პროტოსთან - „პირველად დროსთან“. მართლაც, ლაზური ეზოთერიკის მიხედვით წარსულის იდეალიზაცია ქმნის აწმყოს, ხოლო წარსულის შესწავლაზე ორიენტირებული აწმყო ქმნის ღირსეულ მომავალს.

თავისუფლად შეიძლება ითქვას, ალოგლეტეგენია გახლავთ ლაზური ფილოსოფია, რომელსაც აქვს ამოუწურავი ტრანსცენდენტური მისია და რომელიც ქმნის საკაცობრიო აზროვნების კონცეპტუალურ მატრიცას. ლაზეთი კოსმოგონიური სივრცეა, რომელსაც არ გაუღვიძია ძვ. წ. III საუკუნეში კოლხეთის სამეფოს სკეპტუხიებად დაშლის შემდგომ-ცივილური თვალსაზრისით. ლაზეთის მეფენი გახლდნენ ბაცაშები - („ბაბა ცაში - ბაბა ცაქვინჯ“) - ანუ ღმერთი ცაში, უფალი ჰორიზონტზე. ამ გვარს აღნიშნავდნენ ლაზური სიტყვით „ქკაზან - ჯი“- „ქა“ - ხელმწიფე, „ზან“ - ლაზები, ჭანები ზანები - ანუ კაზანჯი ნიშნავს ლაზთა ხელმწიფეს. ლაზებმა შეძლეს მსოფლიოს კოსმიურ არეალზე კაზანოიჯური გაბატონება, ანუ ლაზმა მოაზროვნეებმა შექმნეს მსოფლიოს მართვის კონცეფცია, კერძოდ, პეტრე იბერმა და მისმა მასწავლებელმა მითრიდატე ლაზმა შექმნეს ნეგატივისტური თეოლოგია, რომელმაც საფუძველი შეუმზადა აღმოსავლურ რენესანსს და რომელმაც განავითარა აღმოსავლური ქრისტიანული კულტურა. ლაზური კაზანოიჯი ლაზური მეფური სული ნიშნავს არა ძალადობრივ ბატონობას და თუნდაც დაბალგანვითარებულ ხალხთა ჩაგვრას, არამედ მათზე აზრობრივ გავლენას მათივე განვითარების მიზნით.

ლაზებმა შექმნეს უმძლავრესი აზრობრივი იმპერია - ლაზისტანური ეზოთერიკის 3 ზემოხსენებული სკოლის სახით. ლაზმა მოაზროვნეებმა შექმნეს ORDRER PUBLIC - საჯარო აზრობრივი მართლწესრიგი, რომელმაც გაანადგურა ბარბაროსული ინეფლიაცია და სათავე დაუდო ატლანტოიდური სიბრძნის განვითარების ახალ ეპოქას.

ლაზეთი ვერასდროს ამოწურავს თავის მისიას, რადგან სამყარო ატლანტოიდურ ღვთიურ საწყისზე დგას და მის განსავითარებლად ზრუნვა მხოლოდ ლაზ ხალხს ძალუძს, რასაკვირველია ამ პროცესში მსოფლიოს ერთა აქტიური ჩართვით და მისი განსრულყოფილების გზით.

ლაზეთი ქრისტიანობის, განსაკუთრებით ქრისტიანული მისტიკის აკვანია, რომელიც ჯერ კიდევ აიეტიდურ კოლხაში დაირწა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ძალითა და მადლით. ლაზეთი ტიტანთა ქვეყანაა, რომელსაც გადაშენება არ უწერია. ლაზურ-მეგრულ-სვანურ ენობრივ სამყაროში დევს გასაღები ატლანტოიდური კულტურისა, გასაღები, რომელსაც კაცობრიობა ლაზური მისტიკის შეთვისებისა და შესისხლხორცების გარეშე ვერასდროს იპოვის.

ლაზები, მეგრელები, სვანები, ბერბერები, ბასკები, აინები, გუჯარები, კხამერები და სხვა - ისინი რაც მთავარია, ერთი ტრანსცენდენტური ეგზისტენციის სტოიკურ რასობრივი სახესხვაობებია. თავისუფლად შეიძლება ითქვას, ყოველ ერს აქვს ტრანსცენდენტური არსი, რომელიც განსაზღვრავს მის ფორმას. ლაზ-მეგრელ-სვანი ხალხის არსი ეს რწმენამდე დაფუძნებული თავმდაბლობა, სიკეთე და სულგრძელობაა, თვისებანი, რომლებიც სამარადჟამოდ განსაზღვრავენ უფლისა და კაცობრიობის მდგრად აპოფატიკურ კავშირს.

ლაზი ხალხი გაიმარჯვებს იანბრეზე, ბაფომეტის ტყვეობისგან გაათავისუფლებს ხალხებს და შექმნის ახალ ეპოქას სიკეთისა, ნეტარებისა, სულგრძელობისა, დიდსულოვნებისა, რწმენისა. ლაზეთი, ღრმად მწამს, დაასრულებს ძალადობრივი იმპერიალიზმის დიქტატს, ჩვენ გავიმარჯვებთ და შევქმნით იდეურ იმპერიას, დამყარებულს უფლებებსა და ვალდებულებებზე.

დიადო მეგრელნო, ლაზნო, სვანნო! კაცობრიობა უნდა გამოვაფხიზლოთ და ატლანტური კოსმოგონიური სივრცე გავაღვიძოთ!

ჩვენი ბრძოლა სამართლიანია, ჩვენ კოლხები ვართ!

ჩვენთან არს ღმერთი!


კოლხა
ეზოთეერიკა
ეკვესტრიზმი
მისტიკა
იბერია
ქალდეა


ეზოთერული კვლევა
კავკასიური სიბრძნე
კოლხეთი
ბასკეთი
ლიბია


კოლხა
იბერია
ქალდეა
რომი

აიეტი



დავითი

მონარქთა პენტაგრამა


სიცოცხლე
ქვეყნიური
საუკუნე
სიკვდილი
რეინკარნაცია


რ ე ი ნ კ ა რ ნ ა ც ი ა
აპოფატიკური
ტრანსცენდენტური
ხორციელი
სულიერად
ინდივიდუალი


სოფიზმი
ისტორია
მისტიკა
ლიტერატურა


კავკასიური რასა
აპოფატიკური არსი
მკვეთრი ინდივიდუალიზმი
ლაზონა
ქალდეა
საქართველო
იბაკირეა
ძლიერი კომუნიტარიზმი



ნაციონალური სიბრძნე

ფილოსოფიის მონოგრამა



ლაზეთი




ლამარია
მისტიკა
ლიტერატ
ურა
ავანგარდიზმი
ისტორია
ისტორიოსოფია


მედეა
ქალკიოპე
აიაზან
აფსირტე
ატლანტის
აია
კოლხა

არგონავტები




ქართველური სიბრძნე
ლაზეთი
მარგალეთი
კავკასია
სვანეთი

კაზანჯთა მონოგრამა




ქალდეა
კოლხა
ბასკეთი
იბერია

კოლხთა ინსტალირაცია